## საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

## ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ბრძანება № 01-08/1008**

18 ნოემბერი, 2022 წელი ქ.ბათუმი

*„ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „მარკეტინგის", „მენეჯმენტის", „ფინანსებისა" და „საბუღალტრო და საგადასახადო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების 20218-20219 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ამავე ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" აკრედიტირებულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რიგგარეშე შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 11 მარტის №01-08/62 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ*

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილების, „კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №55 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 3 თებერვლის №01-02/16 ბრძანების, „ERASMUS+ საგრანტო პროექტის „საქართველოს უნივერსიტეტში მე-3 ხარისხის და აქტუალურობის გაძლიერება" (SQUARE0) ძირითადი პერსონალის პორტუგალიის ქალაქ ლისაბონში მივლინების შესახებ" რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2022 წლის 17 ოქტომბრის №01-06/296 ბრძანების, კრედიტების აღიარების შესახებ საფაკულტეტო კომისიის დასკვნის, სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის, 2022 წლის 16 ნოემბრის MES 7 22 0001465264 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ,,მარკეტინგის'', ,,მენეჯმენტის'', ,,ფინანსებისა'' და ,,საბუღალტრო და საგადასახადო საქმის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების 20218-20219 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ამავე ფაკულტეტის ,,ბიზნესის ადმინისტრირების'' აკრედიტირებულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რიგგარეშე შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 11 მარტის №01-08/62 ბრძანების N1 დანართში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

ა) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტ **გიორგი კაიკაციშვილს** (152-ე გრაფა) 11 კრედიტის ნაცვლად **მიეთითოს 30 კრედიტი**.

| N | სტუდენტის სახელი და გვარი | სტუდენტის პირადი ნომერი | აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური | აღიარებული კრედიტი | პირველადი საგანმანათლებლო ერთეული (ფაკულტეტი) | მიმ. საგანმანათლებლო ერთეული (ფაკულტეტი) | საგანმანათლებლო პროგრამა (მობილობის შედეგი) | პირველადი საგანმანათლებლო პროგრამა (მობილობის შედეგი) | სემესტრი | სწავლის წლიური საფასური (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 152 | გიორგი კაიკაციშვილი | | ბაკალავრიატი | 30 | ეკონომიკისა და ბიზნესის | მენეჯმენტი | ეკონომიკისა და ბიზნესის | ბიზნესის ადმინისტრირება | II | 2250 |

2. წინამდებარე ბრძანება აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრში და წარდგენილ იქნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
3. ბრძანება აისახოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის ელექტრონულ სისტემაში, სტუდენტური პორტალის მეშვეობით დაეგზავნოს ბრძანებაში აღნიშნულ სტუდენტს და განთავსდეს მის პირად საქმეებში.
4. ბრძანება აღსასრულებლად და გასაცნობად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (ფაკულტეტს-სტუდენტის პირად საქმეში ასახვის მიზნით, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში( ს. ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორის მოადგილე, პროფესორი,

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ა. ზერიძე